საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

KA020194999963220

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: **+995 591 40 40 51**: ფაქსი: **+995 32 243 95 02**

 # 22/2645 **04 / მაისი / 2020 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს

თქვენი 2020 წლის 31 მარტის, N3384/01 წერილის პასუხად, რომელიც ეხება გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეღვრეკისის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეოდ) მოპოვების მიზნით, სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიის გაცემის საკითხს, გაცნობებთ, რომ ჭაბურღილის მდებარეობა, უახლოესი დასახლებული პუნქტიდან (სოფ. მეღვრეკისი) დაშორებულია 2260 მეტრით, ხოლო სალიცენზიო ობიექტი (ჭაბურღილი) მდებარეობს მდ. დიდი ლიახვის მარცხენა ჭალის ტერასაზე, ვაკე რელიეფის მქონე ტერიტორიაზე.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისადმი დაქვემდებარებული ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოგიდგენთ გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეღვრეკისის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მტკნარი წყლის (100 000 $მ^3$ სამეწარმეო მიზნით) მოპოვების (ID-47984) სკრინინგის განცხადებას.

ლიცენზია გაიცემა მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვებაზე, სამეწარმეო დანიშნულებით გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეღვრეკისის მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს „გარნეთი“-ს საკუთრებაში რეგისტრირებულ ტერიტორიაზე. გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

აღნიშნული ობიექტი დაშორებულია შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან დაახლოებით 280 კილომეტრით. არ ფიქსირდება ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები, ასევე არ ფიქსირდება დაცულ ტერიტორიებთან, მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებთან, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან და სხვა ობიექტებთან.

წიაღით სარგებლობა მოცემული კოორდინატების საზღვრებში დასაშვებია, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა არ გამოიწვევს გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.

ამ მიზნით გაცემული ლიცენზია არ გამოიწვევს წყლის, ნიადაგის, მიწის დაბინძურებას, ნარჩენების წარმოქმნას, გარემოს დაბინძურებასა და ხმაურს. ასევე არ არის მოსალოდნელი გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმეორებით გიგზავნით ტოპოგრაფიულ რუკას, და კორექტირებულ გეოსაინფორმაციო პაკეტს, რომელზეც აღნიშნულია სალიცენზიო ობიექტი და გთხოვთ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შესაძლო მოკლე ვადაში განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: გეოსაინფ. პაკ. 3 გვ; რუკა 1 გვ; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი 1 გვ.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის
პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე